

## ნაყენები და ნახარშები

გლოდიმერ ფადიურაშვილი, ანა მანაგაძე, იზო გარსევანიშვილი,

სოფო კოლომიკოვი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### რეზიუმე

ნაყენები და ნახარშები აღიარებული სამკურნალწამლო ფორმებია, რომლებიც მზადდება მცენარეული ნედლეულიდან და აქმაყოფილებს ყველა იმ მოთხოვნებს, რომლებიც წაეყინება ამ ფორმის სამკურნალო ნივთიერებებს. ჩვენს მიერ დამზადებული იქნა ნაყენების სხვადასხვა შედგენილობის ფორმები, რომლებიც ყველაზე ოპტიმალური შედგენილობის აღმოჩნდა 6 გ. ნედლეულიდან მიღებული ფორმა. იგი შეიძლება გამოყენებული იქნას, როგორც ნერვული სისტემის დამამშვიდებელი.

**საკანონი სიტყვები:** ნაყენები. ნახარშები. სამკურნალო ნივთიერება. ნერვული სისტემა. დამამშვიდებელი.

### 1. შესავალი

ნაყენები და ნახარშები, აღიარებული სამკურნალწამლო ფორმებია. ისინი თხევადი წამლის ფორმებს მიეკუთვნება, რომლებიც ძირითადად მცენარეული ნედლეულიდან მიიღება. ნაყენები და ნახარშები შეიძლება მიღებული იქნას წყლიანი გამონაწვლილებიდან და წარმოადგენენ თხევადი ექსტრაქტების წყლიან ხსნარებს. ნაყენების და ხსნარების მომზადება ხდება დაწვრილმანებული მცენარეული ნედლეულიდან, რომლებიც უნდა აქმაყოფილებდეს შესაბამის ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტების მოთხოვნებს. თუ მითითებული არ არის მცენარეული ნედლეულის რაოდენობა, ნაყენები და ნახარშები მზადდება თანაფარდობით 1:10, ხოლო თუ ამ მიზნით გამოიყენება ძლიერმოქმედი ნივთიერებების შემცველი მცენარეული ნედლეული, მაშინ ნაყენებისა და ნახარშების მომზადება ხდება თანაფარდობით 1:400.

### 2. ძირითადი ნაწილი

ნაყენებისა და ნახარშების მომზადებისას აუცილებელია გათვალისწინებული იქნას შთანთქმის კოეფიციენტი, რომლის მიხედვითაც მცენარეულ ნედლეულს ასხამენ ოთახის ტემპერატურის წყალს შესაბამისი მოცულობის ჭურჭელში, შემდეგ მუდმივი მორევის პირობებში ჭურჭელს ათავსებენ ცხელი წყლის აბაზანაზე 15 წთ-ის განმავლობაში, ნაყენს აცივებენ ოთახის ტემპერატურამდე, ხოლო ნახარშები წყლის აბაზანაზე მოთავსებული უნდა იყოს 30 წთ-ის განმავლობაში. ოთახის ტემპერატურაზე გაცივების შემდეგ მიღებულ ნარევს წურავენ და ამატებენ წყალს საჭირო მოცულობის მიღებამდე. საგულე გლიკოზიდების და ალკალოიდების შემცველი ნედლეულიდან ნაყენებს ამზადებენ განსაზღვრული ბიოლოგიური აქტივობის მქონე ნედლეულიდან. როცა ნედლეულში საგულე გლიკოზიდებისა და ალკალოიდების შემცველობა სტანდარტულზე მეტია, ასაღები ნედლეულის მასას ანგარიშობენ ფორმულით:

$$\frac{A * B}{C}$$

სადაც,  $A$  - გამოწერილი ნედლეულის რაოდენობაა,  $B$  - გლიკოზიდების მოქმედების ფაქტიური რაოდენობა- 1 გ ნედლეულში, ხოლო  $C$  - გლიკოზიდების და ალკალოიდების სტანდარტული რაოდენობა 1 გ ნედლეულში.

ნაყინების მოსამზადებლად არ გამოიყენება ნედლეული, რომლის ბიოლოგიური აქტივობა ან ალკალოდების შემცველობა დაბალია სტანდარტულთან შედარებით. ალკალოიდების შემცველი მცენარეებიდან ნაყინებს და ნახარშებს მომზადებისას ემატება მარილმჟავა. მუკავას იღებენ მცენარეულ ნედლეულში არსებული ალკალოდების მასის ტოლი რაოდენობით. ჩვენს მიერ მომზადებულ იქნა დამამშვიდებელი ნაყინი, რომლის დასამზადებლად გამოვიყენეთ მცენარეული ნედლეულის სახით კატაბალახას ფესურები.

**ნაყინის მომზადების ტექნოლოგია:** წინასწარ გამოშრალი კატაბალახას ფესურები დავაქუცმაცეთ, ავილეთ ამ მასიდან რამდენიმე წონაკი, კერძოდ 2გ, 3გ და 6 გ-ის რაოდენობით. წონაკები მოვათავსეთ ქიმიურ ჭიქებში და თითოეულ მათგანს დავასხით ოთახის ტემპერატურის წყალი ფარდობით 1:30, ჭიქებს დავახურეთ თავი და დავდგით წყლის აბაზანაზე 15 წთ-ის განმავლობაში. შემდეგ ჭიქები გადმოვდგით გავაცივეთ 45 წთ-ის განმავლობაში ოთახის ტემპერატურაზე. მიღებული ნაყინები გავფილტრეთ და დავამატეთ თითოეულ მათგანს 0,06გ, 0,1გ და 0,2გ ნატრიუმის ბენზოატი შესაბამისად: 0,15გ, 0,25გ და 0,5გ ნატრიუმის ბრომიდი. მიღებული ნაყინებიდან ყველაზე ოპტიმალური შედგენილობის აღმოჩნდა ნაყინი, რომელიც მიღებულია 6გ ნედლეულიდან. ჩვენს მიერ დამზადებული ნაყინი ძირითადად შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც ნერვული სისტემის დამამშვიდებელი მისაღები დოზა თითო სუფრის კოვზი სამჯერ დღეში.

#### **ლიტერატურა:**

1. ბურგაძე ა. წამლის სამრეწველო ტექნოლოგია. თბ., 2006
2. მონიავა ჯ. სააფთიაქო წამალთა ტექნოლოგიის თეორიული საფუძვლები. თბ., 2007
3. ალანია მ., ცინცაძე თ., ჩიჩუა გ., გეგეშიძე ნ., კილასონია ნ. ფარმაცევტული ტექნოლოგია. სტუ, თბ., 2008
4. Крещков А.П. Основы аналитической химии, Изд-во „Химия“, 1970.

## **POTIOM AND DECOCTION**

Fadiurashvili V., Managadze A., Garsevanishvili I., Kolomikovi S.  
Georgian Technical University

#### **Summary**

Potiom and decoction are well-known for their curative properties, which are made from natural plant ingredients and satisfy to all demands above mentioned drugs. Decoction made by us have been proved the most optimal content. Produced from six raw material. It may be used as tranquilizer for nervous system.

## **НАСТОИ И ОТВАРЫ**

Фадиурашвили В., Манагадзе А., Гарсеванишвили И., Коломикови С.  
Грузинский Технический Университет

#### **Резюме**

Настои и отвары – это признанные лечебные формы, которые изготавляются из растительного сырья и удовлетворяют всем предъявленным им требованиям. Нами изготовлены формы настоев различных составов, самой оптимальной из которых оказалась форма, полученная из 6 гр. сырья. Она может быть использована, как успокоительное средство для нервной системы.